ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№ 196

ქალაქი ქუთაისი 26 ივნისი 2019 წელი

ქალაქ ქუთაისში, სულხან–საბას გამზირის №10, ნაკვეთი №1-ში (ს/კ №03.05.24.182) მდებარე, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „სტილ საქართველოს“ კუთვნილი მიწის ნაკვეთში, სასაწყობე შენობის, ხიდური ამწით მშენებლობისათვის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების დამტკიცების

შ ე ს ა ხ ე ბ

„ტექნიკური რეგლამენტის – დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის №59 დადგენილების 22-ე მუხლის, 23-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მეორე პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე:

მუხლი 1. დამტკიცდეს ქალაქ ქუთაისში, სულხან-საბას გამზირის №10, ნაკვეთი №1-ში (ს/კ №03.05.24.182) მდებარე, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „სტილ საქართველოს“ კუთვნილი მიწის ნაკვეთში, სასაწყობე შენობის, ხიდური ამწით მშენებლობისათვის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალება.

(შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „სტილ საქართველოს“ კუთვნილი მიწის ნაკვეთში, სასაწყობე შენობის, ხიდური ამწით მშენებლობისათვის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალება განკარგულების დედანს თან ერთვის)

მუხლი 2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ვ.კუპრაძის ქუჩა №11), მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 3. განკარგულება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე,
საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის
შემსრულებელი ირაკლი შენგელია